აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

# სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

2026 წელი

Agriculture.ajara.gov.ge

საქართველო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
GEORGIA. MINISTRY OF AGRICULTURE OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC

**სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს **სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება** წარმოადგენს. ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებების, საოჯახო მეურნეობებისა და აგრომეწარმეების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

**თუ თქვენ ხართ:**

- **საოჯახო მეურნეობის მფლობელი;**
- **სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება;**
- **აგრომეწარმე;**
- **ან უბრალოდ დაინტერესებული ხართ სოფლის მეურნეობის განვითარებით.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაძლევთ შესაძლებლობას, განავითაროთ თქვენი მეურნეობა და მიიღოთ საჭირო დაფინანსება.

# სარჩევი

**სასოფლო – სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა** 5 გვ

მემცენარეობა 5 გვ

მეცხოველეობა 12 გვ

ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები 13 გვ

ზოგადი პირობები 14 გვ

**სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა** 16 გვ

ზოგადი პირობები 18 გვ

**აგროსერვის ცენტრის პროგრამები** 19 გვ

**აგრო კალენდარი** 21 გვ

# მემცენარეობა

თუ გსურთ **ერთწლოვანი კულტურების წარმოება ან მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ბაღების გაშენება** და საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან/და სარგებლობაში გაქვთ **1 000 კვ.მ** და მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი, შესაძლებლობა გაქვთ მიიღოთ თანადაფინანსება შემდეგ კომპონენტებში:

## ახალი ბაღები

## მრავალწლოვანი სასოფლო – სამეურნეო კულტურები

მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურების **ახალი ბაღების** გაშენებისთვის თანადაფინანსდება სარგავი მასალის, ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა.

**თანადაფინანსების ლიმიტები:**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა **არაუმეტეს 40 000 ლარი.**

**თანადაფინანსების პირობები:**

**1 000 კვ.მ და მეტი ფართობისთვის**

- **მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურების ნერგები** (ქლიავი, ბალი, ალუბალი, ტყემალი, ჟოლო, მაყვალი, ლურჯი მოცვი, ხურმა, კივი, ფეიხოა, ლეღვი, დაფნა (გარდა - შუახევი, ხულო), მსხალი, ვაშლი, თხილი, კაკალი, ვაზი) - **70%;**
- **აგროქსოვილი / მულჩი ფირი / სამულჩე ქსოვილი** (მხოლოდ ლურჯი მოცვის შემთხვევაში) - **70%;**
- **წვეთოვანი სარწყავი სისტემა - 70%**;
- **წყლის ტუმბო** - **70%;**
- **წყლის ავზი** - **70%;**
- **ნერგის საყრდენი ბოძი** (მხოლოდ - ჟოლოს, მაყვლის, კივის და ვაზის შემთხვევაში) - **70%;**
- **ელექტრო ღობის / მწყემსის აპარატი** (თანადაფინანსება არ მოიცავს მავთულ ღობეს, მის აქსესუარებსა და აპარატის დენის წყაროსთან მიერთებისათვის საჭირო ელექტრო სადენებს) - **70%;**



# მემცენარეობა

- **შემასხურებელი** (ზურგზე საკიდი) - **70%;**
- **კლიმატის შემქმნელი დანადგარ - მოწყობილობები** (ბიოგაზის დანადგარი, მზის პანელები და სხვა) - **70%;**
- **სასუქები (N; NPK) - 50%;**
- **ჯაჭვური ხერხი - 50%;**
- **ელექტრო / პნევმატიკური სეკატორი - 50%;**
- **საცელი აპარატი** (ზურგზე საკიდი) - **50%;**
- **მიწის ბურღი - 50%.**

**ასევე, 2 500 კვ.მ და მეტი ფართობისთვის დამატებით თანადაფინანსდება:**

- **სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებები - 70%;**
- **მობილური შემასხურებელი აპარატი - 70%;**
- **მოტობლოკი - 50%, ამასთან, არაუმეტეს 1 200 ლარი;**
- **ნიადაგდამამუშავებელი, სათესი, მოსავლის ამღები, საცელი და სხვა აგრეგატები** (გარდა მისაბმელი ურიკა) - **50%, ამასთან, არაუმეტეს 1 200 ლარი,** ხოლო სასოფლო სამეურნეო - გაერთიანების შემთხვევაში თანადაფინანსების ლიმიტი **არაუმეტეს 20 000 ლარი**.



# მეციტრუსეობა

ციტრუსის ბაღის გაშენება / განახლებისთვის თანადაფინანსდება სარგავი მასალის, ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა.

**თანადაფინანსების ლიმიტები:**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 80%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა **არაუმეტეს 40 000 ლარი.**

**თანადაფინანსების პირობები:**

**1 000 კვ.მ და მეტი ფართობისთვის თანადაფინანსება ციტრუსის ნერგის შესყიდვა არაუმეტეს 80%.**

გაითვალისწინეთ, რომ თანადაფინანსება არ ვრცელდება აგროსერვის ცენტრში შესყიდულ ციტრუსის ნერგზე, სადაც ციტრუსის ნერგის შეძენა შესაძლებელია ხელმისაწვდომ ფასად.
თუმცა, აგროსერვის ცენტრისგან ციტრუსის ნერგის შეძენის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა ისარგებლოთ მეციტრუსეობის განვითარების მხარდაჭერით, შემდეგი პირობებით:

**1 000 კვ.მ და მეტი ფართობისთვის თანადაფინანსდება:**

- **წვეთოვანი სარწყავი სისტემა - 70%**;
- **წყლის ტუმბო - 70%;**
- **წყლის ავზი - 70%;**
- **ელექტრო ღობის / მწყემსის აპარატი** (თანადაფინანსება არ მოიცავს მავთულ ღობეს, მის აქსესუარებსა და აპარატის დენის წყაროსთან მიერთებისთვის საჭირო ელექტრო სადენებს) - **70%;**
- **შემასხურებელი** (ზურგზე საკიდი) - **70%;**
- **კლიმატის შემქმნელი დანადგარ - მოწყობილობები** (ბიოგაზის დანადგარი, მზის პანელები და სხვა) **- 70%;**
- **სასუქები (N; NPK) - 50%;**
- **ჯაჭვური ხერხი - 50%;**
- **ელექტრო / პნევმატიკური სეკატორი - 50%;**
- **საცელი აპარატი** (ზურგზე საკიდი) **- 50%;**
- **მიწის ბურღი - 50%.**

**ასევე, 2 500 კვ.მ და მეტი ფართობისთვის დამატებით თანადაფინანსდება:**

- **მობილური შემასხურებელი აპარატი - 70%;**
- **სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებები - 70%;**
- **მოტობლოკი - 50%**, ამასთან, არაუმეტეს **1 200 ლარი;**
- **ნიადაგდამამუშავებელი, სათესი, მოსავლის ამღები, საცელი და სხვა აგრეგატები** (გარდა მისაბმელი ურიკა) - **50%,** ამასთან, არაუმეტეს **1 200 ლარი,** ხოლო სასოფლო სამეურნეო - გაერთიანების შემთხვევაში თანადაფინანსების ლიმიტი არაუმეტეს **20 000 ლარი.**

# ბოსტნეული კულტურების წარმოება

გაითვალისწინეთ, რომ ბოსტნეული კულტურების წარმოებისთვის საჭირო საშუალებების შესყიდვის თანადაფინანსება ხორციელდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი შეისყიდის და გაადგილებს აგროსერვის ცენტრის შუახევის საჩითილე მეურნეობაში წარმოებულ ჩითილებს (ვარდისფერი პომიდორი, კიტრი, ცხარე და ტკბილი წიწაკა, ბადრიჯანი, ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, სალათის ფოთოლი, ყაბაყი). ჩითილების შესყიდვის ღირებულება არ ფინანსდება.

**თანადაფინანსების ლიმიტები**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა **არაუმეტეს 40 000 ლარი.**

**თანადაფინანასების პირობები:**

**1 000 კვ.მ და მეტი ფართობისთვის**

- **აგროქსოვილი / მულჩი ფირი / სამულჩე ქსოვილი - 70%;**
- **წვეთოვანი სარწყავი სისტემა - 70%**;
- **წყლის ტუმბო - 70%;**
- **წყლის ავზი - 70%;**
- **ელექტრო ღობის / მწყემსის აპარატი** (თანადაფინანსება არ მოიცავს მავთულ ღობეს, მის აქსესუარებსა და აპარატის დენის წყაროსთან მიერთებისთვის საჭირო ელექტრო სადენებს) - **70%;**
- **შემასხურებელი** (ზურგზე საკიდი) - **70%;**
- **კლიმატის შემქმნელი დანადგარ - მოწყობილობები** (ბიოგაზის დანადგარი, მზის პანელები და სხვა) **- 70%;**
- **სასუქები (N; NPK) - 50%;**
- **ჯაჭვური ხერხი - 50%;**
- **ელექტრო / პნევმატიკური სეკატორი - 50%;**
- **საცელი აპარატი** (ზურგზე საკიდი) - **50%;**
- **მიწის ბურღი - 50%.**

**ასევე, 2 500 კვ.მ და მეტი ფართობისთვის დამატებით თანადაფინანსდება:**

- **სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებები** - 70%;
- **მობილური შემასხურებელი აპარატი - 70%;**
- **მოტობლოკი** - **50%**, ამასთან, არაუმეტეს **1 200 ლარი;**
- **ნიადაგდამამუშავებელი, სათესი, მოსავლის ამღები, საცელი და სხვა აგრეგატები** (გარდა მისაბმელი ურიკა) - **50%,** ამასთან, ფიზიკური პირის შემთხვევაში არაუმეტეს **1 200 ლარი,** ხოლო სასოფლო სამეურნეო - გაერთიანების შემთხვევაში **არაუმეტეს 20 000 ლარი.**



# კარტოფილი

გაითვალისწინეთ, ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში კარტოფილის სათესი მასალის გაადგილების შემთხვევაში თანადაფინანსდება სარგავი მასალის, ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა.

**დაფინანსების ლიმიტები**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა **არაუმეტეს 40 000 ლარი.**

**თანადაფინანსების პირობები:**

**2 000 კვ.მ და მეტი ფართობისთვის:**

- **კარტოფილის სათესი მასალა** (ელიტა, პირველი და მეორე რეპროდუქცია) **- 70%;**
- **წვეთოვანი სარწყავი სისტემა - 70%**;
- **წყლის ტუმბო - 70%;**
- **წყლის ავზი - 70%;**
- **ელექტრო ღობის / მწყემსის აპარატი** (თანადაფინანსება არ მოიცავს მავთულ ღობეს, მის აქსესუარებსა და აპარატის დენის წყაროსთან მიერთებისათვის საჭირო ელექტრო სადენებს) - **70%;**
- **შემასხურებელი** (ზურგზე საკიდი) - **70%;**
- **კლიმატის შემქმნელი დანაგდარ - მოწყობილობები** (ბიოგაზის დანადგარი, მზის პანელები და სხვა) **- 70%;**
- **სასუქები (N; NPK) - 50%;**
- **ჯაჭვური ხერხი - 50%;**
- **ელექტრო / პნევმატიკური სეკატორი - 50%;**
- **საცელი აპარატი** (ზურგზე საკიდი) **- 50%;**
- **მიწის ბურღი - 50%.**

**ასევე, 2 500 კვ.მ და მეტი ფართობისთვის დამატებით თანადაფინანსდება:**

- **სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებები** - 70%;
- **მობილური შემასხურებელი აპარატი** - 70%;
- **მოტობლოკი** - 50%, ამასთან, არაუმეტეს **1 200 ლარი;**
- **ნიადაგდამამუშავებელი, სათესი, მოსავლის ამღები, საცელი და სხვა აგრეგატები** (გარდა მისაბმელი ურიკა) - **50%,** ამასთან, არაუმეტეს **1 200 ლარი** ხოლო სასოფლო სამეურნეო - გაერთიანების შემთხვევაში თანადაფინანსების ლიმიტი არაუმეტეს **20 000 ლარი.**

## არსებული ბაღები

## მრავალწლოვანი სასოფლო – სამეურნეო კულტურები

ხეხილოვანი კულტურების არსებული ბაღებისთვის თანადაფინანსდება ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა.

**თანადაფინანსების ლიმიტები**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა **არაუმეტეს 20 000 ლარი.**

**თანადაფინანსების პირობები:**

**1 000 კვ.მ  და მეტი ფართობისთვის:**

- **წვეთოვანი სარწყავი სისტემა** - **70%;**
- **ნერგის საყრდენი ბოძი** (მხოლოდ - ჟოლოს, მაყვლის, კივის და ვაზის შემთხვევაში) **- 70%;**
- **წყლის ტუმბო** - **70%;**
- **წყლის ავზი** -  **70%;**
- **ელექტრო ღობის / მწყემსის აპარატი** - **70%;**
- **შემასხურებელი** (ზურგზე საკიდი) -  **70%;**
- **კლიმატის შემქმნელი დანადგარ - მოწყობილობები** (ბიოგაზის დანადგარი, მზის პანელები და სხვა)  **- 70%;**
- მეურნეობის შესაბამისი **წარმოება / შენახვა / გადამუშავება / შეფუთვა / რეალიზაციისთვის** საჭირო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები - არაუმეტეს **70%.**

**ასევე, 2 500 კვ.მ და მეტი ფართობისთვის დამატებით თანადაფინანსდება:**

- **მობილური შემასხურებელი აპარატი - 70%;**
- **სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებები - 70%.**



# ᲛᲔᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ

## ᲗᲮᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲘ



**5 000 კვ.მ  და მეტ ფართობზე** გაშენებული თხილის ბაღისთვის თანადაფინანსდება მეურნეობის შესაბამისი თხილის **სარჩევი, საკრეფი და სატეხი** საშუალებების შესყიდვა.

**თანადაფინანსების ლიმიტები**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა **არაუმეტეს 20 000 ლარი.**

## ᲕᲔᲜᲐᲮᲘ



**1 000 კვ.მ და მეტ ფართობზე** გაშენებული ვენახის ბაღისთვის თანადაფინანსდება **სახლის ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოების** საშუალებების შესყიდვა.

**თანადაფინანსების ლიმიტები**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 70%;**
- **1 000 კვ.მ - 2 500 კვ.მ ფართობამდე,** თანადაფინანსების ჯამური თანხა არაუმეტეს **5 000 ლარი;**
- **2 500 კვ.მ და მეტი ფართობი,** თანადაფინანსების ჯამური თანხა არაუმეტეს **10 000 ლარი.**

## ᲡᲐᲡᲐᲗᲑᲣᲠᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ



**200 კვ.მ და მეტი ფართობი სასათბურე მეურნეობისთვის** თანადაფინანსდება სასათბურე მეურნეობების აღჭურვილობა (ფირი, გათბობა - გაგრილებისა და ირიგაცია - ფერტიგაციის სისტემები, კლიმატის შემქმნელი დანადგარ - მოწყობილობები (ბიოგაზის დანადგარი, მზის პანელები) და სხვა, გარდა სასათბურე კონსტრუქციისა (კარკასი)).

**თანადაფინანსების ლიმიტები**

- საბაზისო ღირებულების **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა **არაუმეტეს 40 000 ლარი.**



## მეცხოველეობა

თუ თქვენ საქმიანობთ მეცხოველეობის მიმართულებით (მესაქონლეობა, მეთევზეობა, მეფრინველეობა, მებოცვრეობა და სხვა), გაქვთ შესაძლებლობა მიიღოთ თანადაფინანსება მეურნეობის შესაბამისი **წარმოება / შენახვა / გადამუშავება / შეფუთვა / რეალიზაციისთვის** საჭირო ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესაძენად.

**თანადაფინანსების პირობები:**

- თანადაფინანსება საბაზისო ღირებულების არაუმეტეს - **70%;**
- თანადაფინანსების ლიმიტები: **არანაკლებ 500 და არაუმეტეს 40 000 ლარი.**

გარდა აღნიშნულისა, თანადაფინანსდება:

- **რძის სეპარატორი** - **70%,** არაუმეტეს **280 ლარი**;
- **კარაქის ამომყვანი** (სადღვები) - **70%, არაუმეტეს 300 ლარი**;
- **ელექტრო ღობის / მწყემსის აპარატი** - **70%.**



## მეფუტკრეობა

მეფუტკრეობისთვის თანადაფინანსდება მეურნეობის შესაბამისი **წარმოება / შენახვა / გადამუშავება / შეფუთვა / რეალიზაციისთვის** საჭირო ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა (თაფლის ექსტრაქტორი, დამწიფებისა და შენახვის რეზერვუარები, ცვილსადნობი, ფიჭის პრესი, მჟაუნმჟავას მაორთქლებელი დეკრისტალიზატორი და სხვა).

**თანადაფინანსების პირობები:**

- საბაზისო ღირებულების არაუმეტეს **70%;**
- თანადაფინანსების ლიმიტები: **არანაკლებ 500 და არაუმეტეს 10 000 ლარი.**



# ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

თუ თქვენ ეწევით სასოფლო - სამეურნეო საქმიანობას და საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან/და სარგებლობაში გაქვთ **2 500 კვ.მ-დან და მეტი ფართობის** მიწის ნაკვეთი, შეგიძლიათ მიიღოთ თანადაფინანსება ტექნიკური საშუალებების შესაძენად შემდეგი პირობებით:

**თანადაფინანსების ლიმიტები:**

- საბაზისო ღირებულების - **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსების ჯამური თანხა - **არაუმეტეს 2 500 ლარი,** ხოლო სამეურნეო - გაერთიანების შემთხვევაში - **არაუმეტეს 20 000 ლარი.**

**თანადაფინანსების პირობები:**

**ერთ განაცხადში შეგიძლიათ აირჩიოთ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი:**

- **მობილური შემასხურებელი აპარატი** - **70%;**
- **ელექტრო ღობის / მწყემსის აპარატი** - **70%;**
- **კლიმატის შემქმნელი ენერგომატარებელი** (ბიოგაზი, მზის პანელები და სხვა) - **70%;**
- **მოტობლოკი** - **50%,** ამასთან **არაუმეტეს 1 200 ლარი**;
- **ნიადაგდამამუშავებელი, სათესი, მოსავლის ამღები, საცელი და სხვა აგრეგატები** (გარდა მისაბმელი ურიკა) - **50%, არაუმეტეს 1 200 ლარი,** ხოლო სასოფლო - სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში თანადაფინანსების ლიმიტი - **არაუმეტეს 20 000 ლარი**.

**ერთ განაცხადში შეგიძლიათ მიუთითოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, თანადაფინანსების შემდეგი ლიმიტებით:**

- **ჯაჭვური ხერხი** - **50%;**
- **ელექტრო / პნევმატიკური სეკატორი** - **50%:**
- **საცელი აპარატი** (ზურგზე საკიდი) - **50%;**
- **შემასხურებელი** (ზურგზე საკიდი) **- 70%.**

# ზოგადი პირობები

## კრიტერიუმები

წარმოდგენილი განაცხადები ფასდება შემდეგი **კრიტერიუმების** შესაბამისად:

- ღონისძიების მიმართულებებთან შესაბამისობა;
- იდეის დასაბუთებულობა;
- გამართული სამოქმედო გეგმა;
- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არსებული ქონება (იჯარის, აღნაგობის უფლებით მიწის სარგებლობის შემთხვევაში, პროექტის / განაცხადის წარმოდგენის დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს მრავალწლოვანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბაღებისთვის, ხოლო 3 წელს ერთწლოვანი სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის).

## წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- განაცხადი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების / იჯარის / აღნაგობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, თანამესაკუთრეების თანხმობა ან/და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (მხოლოდ მრავალწლოვანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ახალი ბაღების კომპონენტში);
- შესასყიდი საქონლის / მომსახურების ინვოისი;
- სასოფლო - სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და წესდება / კრების ოქმი;
- სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში - საექსპერტო / აუდიტორული დასკვნა თანხების საქონლის / მომსახურების საბაზრო ფასებთან შესაბამისობაზე;
- საჭიროებისამებრ სხვა დამატებითი დოკუმენტაცია (სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში).

## არ ფინანსდება

- აგროსერვის ცენტრიდან შესყიდული ნერგები და ჩითილები;
- უძრავი ქონების, კონსტრუქციების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
- საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- საწარმოში წილის შესყიდვა;
- კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა;
- საბრუნავი საშუალებების შესყიდვა, გარდა წესით გათვალისწინებული საქონლისა;
- ბოძები, მავთულები, ეკალ-მავთული და მავთულის ბადე;
- ცოცხალი ცხოველის შესყიდვა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მისაბმელის შესყიდვა;
- მიწის ნაკვეთამდე წყლის, ელექტროენერგიისა და სხვა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მიყვანის უზრუნველყოფა;
- ხარჯი, რომელიც ვერ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- სამინისტროს პროგრამით **2019 წლიდან** თანადაფინანსებული ანალოგიური სახეობის საქონელი, ხოლო **2023 წლიდან** რძის გადამამუშავებელი სეპარატორი.

## განაცხადის წარდგენა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე

**ბათუმი**

აკადემიკოს მ. კომახიძის ქ. №119

**ქობულეთი**

თავისუფლების ქ. №100

**ხელვაჩაური**

დიდაჭარის ქ. №23

**ქედა**

26 მაისის ქ. №1

**შუახევი**

სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №2

**ხულო**

დ. აღმაშენებლის ქ. №3

# სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის ბიუჯეტის პროგრამის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა ფარგლებში შესაძლებლობა გაქვთ მიიღოთ **თანადაფინანსება აგრომეწარმეობის მიმართულებით.**

# ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ

მეწარმეობის მხარდაჭერის ფარგლებში თანადაფინანსდება, როგორც ახალი, ასევე არსებული სამეწარმეო საქმიანობის გაფართოება / მოდერნიზება შემდეგ კომპონენტებში:

## ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ / ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ

- **ბენეფიციარი:** საწარმო, რომელიც მოქმედებს აჭარაში და ზრდის წარმოების მასშტაბს;
- **თანადაფინანსება**: აღჭურვილობის ღირებულების **70%**;
- **თანადაფინანსების ოდენობა: 50 000 - 100 000 ლარი.**

## ᲐᲒᲠᲝᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

- **ბენეფიციარი:** საწარმო, რომელიც ახორციელებს ახალ საინვესტიციო პროექტს აჭარაში;
- **თანადაფინანსება**: აღჭურვილობის ღირებულების **70%**;
- **თანადაფინანსების ოდენობა: 100 000 - 300 000 ლარი.**

## ᲒᲐᲮᲓᲘ ᲐᲒᲠᲝᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔ

- **ბენეფიციარი:** ახალი საწარმო;
- **თანადაფინანსება**: აღჭურვილობის ღირებულების 70%;
- **თანადაფინანსების ოდენობა: 40 000 - 100 000 ლარი.**

## ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲒᲠᲝᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔ

- **ბენეფიციარი:** საწარმო, რომლის დამფუძნებლის ასაკი არ აღემატება **29 წელს**;
- **თანადაფინანსება:** აღჭურვილობის ღირებულების **90%;**
- **თანადაფინანსების ოდენობა: 25 000 - 30 000 ლარი.**

# ზოგადი პირობები

## ღონისძიების პრიორიტეტული მიმართულებები

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის, შენახვის, რეალიზაციის, სტანდარტიზაციის და აგროლოგისტიკის ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მხარდაჭერა;
- აგრომომსახურების მხარდაჭერა;
- სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის, ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებების წარმოება - რეალიზაციის მხარდაჭერა.

## არ ფინანსდება

- საბრუნავი საშუალებების შესყიდვა და საოპერაციო ხარჯები;
- მიწისა და შენობა - ნაგებობის შესყიდვა / მშენებლობა / რემონტი. აღნიშნული ასევე, არ ჩაითვლება ბენეფიციარის თანამონაწილეობად შესაბამისი პროექტის ფარგლებში;
- საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- საწარმოში წილის შესყიდვა;
- კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა;
- შესაღობი მასალის შესყიდვა და ღობის მოწყობა;
- სასათბურე მეურნეობის კონსტრუქცია და მისი მოწყობა;
- ცოცხალი ცხოველის შესყიდვა;
- სასტუმროს (მათ შორის საოჯახო ტიპის სასტუმრო) მშენებლობა - აღჭურვა;
- კვების ობიექტების აღჭურვა;
- ხარჯები, რომელიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებსა და ამოცანებს;
- სხვა ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ვერ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
- ერთი პირის მიერ ერთზე მეტი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში განაცხადს ენიჭება სტატუსი - დისკვალიფიცირებულია და შემდგომ განხილვას არ ექვემდებარება.

აგროსერვის ცენტრი დამატებით შესაძლებლობას გაძლევთ, მიიღოთ მხარდაჭერა მემცენარეობისა და მეცხოველეობის მიმართულებებით. კერძოდ:



## ნერგები და ჩითილები

აგროსერვის ცენტრში შესაძლებლობა გაქვთ ხელმისაწვდომ ფასად შეიძინოთ თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოებული სარგავი და საჩითილე მასალები:

- **ნერგები:** ციტრუსი, ვაზი, ვაშლი, ბალი, მსხალი, ტყემალი, ჟოლო;
- **ჩითილები:** ვარდისფერი პომიდორი, კიტრი, ცხარე და ტკბილი წიწაკა, ბადრიჯანი, ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, სალათის ფოთოლი, ყაბაყი.



## მეფუტკრეობა

პროგრამის - მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა ფარგლებში, გაქვთ შესაძლებლობა მიიღოთ დადან - ბლატის ტიპის **10 ჩარჩოიანი** სკების კომპლექტი.

**თანადაფინანსების ლიმიტები:**

- საბაზისო ღირებულების - **არაუმეტეს 70%;**
- თანადაფინანსება ერთეულ სკაზე არაუმეტეს - **120 ლარი.**



# მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვები ბაზით (სილოსით) უზრუნველყოფის თანადაფინანსება

აგროსერვის ცენტრი შესაძლებლობას გაძლევთ მიიღოთ თანადაფინანსება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვები ბაზით (სილოსით) უზრუნველყოფისთვის.

**თანადაფინანსების პირობები:**

- ცენტრის თანადაფინანსება შეადგენს შესასყიდი საქონლის ღირებულების **70%-ს**, ამასთან 1 კილოგრამზე არაუმეტეს **0,25 ლარისა;**
- თანადაფინანსებით გასაცემი საქონლის რაოდენობა ერთ სულზე შეადგენს **არაუმეტეს 1,8 ტონას**, ხოლო თანადაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებული სულადობა **არაუმეტეს 30 (ოცდაათი) სულისა**;
- თანადაფინანსება გაიცემა იმ ბენეფიციარებზე, რომელთა საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სულადობა შეადგენს არანაკლებ **3 (სამი) სულისა.**



# აგრო კალენდარი

<table>
<tr><th colspan="2">აგრო ღონისძიებები</th><th>ბოსტნეული<br></th><th>კარტოფილი<br></th><th>ციტრუსი<br></th><th>ვაზი<br></th><th>ლურჯი მოცვი<br></th><th>ხეხილი<br></th></tr>
<tr><td rowspan="2">რგვა-თესვა</td><td>დაწყება</td><td colspan="2">თებერვალი</td><td>ოქტომბერი</td><td colspan="3">ნოემბერი</td></tr>
<tr><td>დასრულება</td><td colspan="2">ივნისი</td><td>აპრილი</td><td>მარტი</td><td>ივლისი</td><td>აპრილი</td></tr>
<tr><td rowspan="2">გასხვლა</td><td>დაწყება</td><td colspan="2"></td><td>ნოემბერი</td><td>თებერვალი</td><td>ივლისი</td><td>დეკემბერი</td></tr>
<tr><td>დასრულება</td><td colspan="2"></td><td>აპრილი</td><td colspan="3">მარტი</td></tr>
<tr><td rowspan="2">ნიადაგის დამუშავება</td><td>დაწყება</td><td colspan="2">თებერვალი</td><td>მარტი</td><td colspan="3">ნოემბერი</td></tr>
<tr><td>დასრულება</td><td>აგვისტო</td><td>ივნისი</td><td>ივლისი</td><td>აგვისტო</td><td colspan="2">სექტემბერი</td></tr>
<tr><td rowspan="2">სასუქების შეტანა</td><td>დაწყება</td><td>მარტი</td><td colspan="2">თებერვალი</td><td>ოქტომბერი</td><td colspan="2">ნოემბერი</td></tr>
<tr><td>დასრულება</td><td>მაისი</td><td>ივნისი</td><td>ივლისი</td><td>მაისი</td><td>აგვისტო</td><td>ივლისი</td></tr>
<tr><td rowspan="2">მორწყვა</td><td>დაწყება</td><td colspan="2">მაისი</td><td>ივლისი</td><td>მაისი</td><td>აპრილი</td><td>მაისი</td></tr>
<tr><td>დასრულება</td><td>აგვისტო</td><td>სექტემბერი</td><td colspan="2">აგვისტო</td><td>სექტემბერი</td><td>აგვისტო</td></tr>
<tr><td rowspan="2">მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა</td><td>დაწყება</td><td>მარტი</td><td>მაისი</td><td colspan="2">მარტი</td><td>თებერვალი</td><td>მარტი</td></tr>
<tr><td>დასრულება</td><td>აგვისტო</td><td>ივლისი</td><td>სექტემბერი</td><td>აგვისტო</td><td colspan="2">დეკემბერი</td></tr>
<tr><td rowspan="2">მოსავლის აღება</td><td>დაწყება</td><td>მაისი</td><td>ივლისი</td><td>ოქტომბერი</td><td>აგვისტო</td><td colspan="2">მაისი</td></tr>
<tr><td>დასრულება</td><td colspan="2">სექტემბერი</td><td colspan="2">დეკემბერი</td><td>სექტემბერი</td><td>დეკემბერი</td></tr>
</table>

**დეტალური აგრარული ღონისძიებების შესახებ კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ სამინისტროს ექსტენციის სამსახურს**

☎ +995 (422) 24 78 46

## დაასკანერე და გაიგე მეტი

ინფორმაცია დამატებითი პირობებისა და განაცხადების წარდგენის ვადების შესახებ იხილეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

facebook.com/MinistryOfAgricultureOfAjara

contact@moa.ge

agriculture.ajara.gov.ge